1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (72) 12 ივნისი 1956 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება პროფესორ ი. ი. შტაერმანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
2. სასამართლო განაჩენთა აღსრულების საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში.
3. ბრძანებულება ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ.
4. ბრძანებულება ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების და სხვა მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
5. ბრძანებულება ბაკურიანის ანდეზიტის მუშათა დასახლების მუშათა დაბების ჯგუფზე მიკუთვნების შესახებ.
6. ბრძანებულება ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოს სოფლების ძამას და სათიბების გაუქმების შესახებ.
7. ბრძანებულება ამხ. შ. ი. საბანაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან.
8. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.
9. დმანისის და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ.
10. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
11. ბრძანებულება ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქანის „ჩაქვისთავის“ ბაქან „მწვანე კონკხად“ გადარქმევის შესახებ.
12. ბრძანებულება გარდაბნის რაიონის ახლად დასახლებული პუნქტისათვის სახელწოდების, სოფელი ახალი სამგორის, მიკუთვნების შესახებ.

საქართ. სსრ. ხალ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება პროფესორ ი. ი. შტაერმანისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

სამშენებლო მეცნიერებათა დარგში დამსახურებისათვის დაბადებიდან სამოცი წლის შესრულებასთან დაკავშირებით მიენიჭოს ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორს იული იაკობის-ძე შტაერმანს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 27 მარტი.

2. სასამართლო განაჩენთა აღსრულების საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსის ამხ. ა. კ. ჩიქვანაიას მოხსენება სასამართლო განაჩენთა აღსრულების საქმის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სასამართლოს, იუსტიციისა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობა სასამართლო განაჩენთა აღსრულების საქმეში ძირითადად შეეფარდება მოქმედი კანონის მოთხოვნას. მიუხედავად ამისა, სასამართლო განაჩენთა აღსრულების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. სასამართლო და მილიციის ორგანოები რიგ შემთხვევაში დროულად არ ასრულებენ სასამართლო განაჩენებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო თავის მხრივ არასაკმაო კონტროლს უწევს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენთა აღსრულებას, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურა სუსტად ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ზედამხედველობას, ამის შედეგად 1956 წლის 1 იანვრისათვის ბევრი ბრალდებული და მსჯავრდადებული დაპატიმრებული არ იყო.

შემოწმებით გამოირკვა, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრობაში არ აჰყავთ ბრალდებულები და მსჯავრდადებულები ისეთი დანაშაულისათვის როგორიცაა: ქურდობა, გაფლანგვა-მტაცებლობა, სპეკულაცია, განზრახ მკვლელობა და სხვა. მაგალითად 1956 წლის 15 იანვრისათვის აღსრულებული არ იყო ძალაში შესული განაჩენები მსჯავრდადებულთა დაპატიმრების შესახებ ქ. თბილისის 26 კომის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის რაიონში—11, მოლოტოვის რაიონში—19, კიროვის რაიონში—12, ორჯონიკიძის რაიონში—11, კალინინის რაიონში—14.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში კასაციისა და ზედამხედველობის წესით განხილული საქმეები სახალხო სასამართლოებს აღსრულებისათვის უმრავლეს შემთხვევაში ეგზავნებათ დიდი დაგვიანებით, ხოლო სახალხო სასამართლოები თავის მხრივ, ცალკეულ შემთხვევებში აჭიანურებენ განაჩენების აღსრულებას, რაც საშუალებას აძლევს მსჯავრდადებულებს თავი აარიდონ სასჯელის მოხდას და მიიმალონ.

მილიციის ორგანოები სათანადო ოპერატიულობას არ იჩენენ ბრალდებულთა და მსჯავრდადებულთა დასაპატიმრებლად, რის გამოც ძებნაში მყოფი მნიშვნელოვანი ნაწილი დამნაშავე პირებისა ჯერ კიდევ დაპატიმრებული არ არის.

სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ბრალდებულთა მიერ სახელმწიფოზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მოქალაქეებზე მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას. სათანადო ყურადღება არ ექცევა მსჯავრდადებულთა ქონების დროზე კონფისკაციას, ამის შედეგად ბოროტმოქმედნი ზოგჯერ ახერხებენ ქონების გადამალვას ან გასხვისებას.

შემოწმებული რაიონების პროკურორები ზედამხედველობის წესით სისტემატურად არ ამოწმებენ სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების აღსრულების მიმდინარეობას და მსჯავრდადებულთა ქონების კონფისკაციის სწორად და თავის დროზე გატარებას, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურა არ ღებულობს საჭირო ზომებს თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც აჭიანურებენ და ხელს უშლიან განაჩენთა აღსრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. მ. ყ. ლომიძეს მიიღოს ზომები იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) დაწესდეს მტკიცე კონტროლი სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების დროულად შესრულებაზე; იმ მუშაკებს, რომლებიც გამოიჩენენ უპასუხისმგებლობას და გააჭიანურებენ სასამართლო განაჩენთა აღსრულებას დაადოს კანონით გათვალისწინებული სასჯელი;

ბ) მიიღოს სათანადო ზომები, რათა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენები დაუყოვნებლივ ეგზავნებოდეს მილიციის ორგანოებს და შესაბამის უბნის სასამართლოებს აღსასრულებლად;

გ) მისცეს მითითებები სასამართლო ორგანოებს კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვონ საგამომძიებლო ორგანოებს ბრალდებულთა ქონების აუცილებელი და სრულფასოვანი დაყადაღება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ს. დოლიძეს უზრუნველყოს საკასაციო და საზედამხედველო წესით შემოსული სისხლის სამართლის საქმეების დაწესებულ ვადებში განხილვა და შემდგომში არ დაუშვას განხილულ საქმეების დაგვიანებით გაგზავნა სახალხო სასამართლოებში.

3. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს ამხ. მ. ე. თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურიძეს მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა პროკურატურის ორგანოები სისტემატურად ახორციელებდნენ კანონით გათვალისწინებულ ზედამხედველობას სასამართლო განაჩენთა სწორად აღსრულებაზე; ზუსტად გაატარონ ბრალდებულთა მიმართ კანონით გათვალისწინებული აღმკვეთი ღონისძიებები და სრული წესრიგი დაამყარონ ბრალდებულთა ქონების დაყადაღებისა და ამოღების საქმეში.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავას მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ პირთა დასაძებნად და დასაპატიმრებლად, რომლებიც თავს არიდებენ სასჯელის მოხდას.

5. ერჩიოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ სასამართლოს განაჩენთა აღსრულების მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს სსრ პროკურორს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსს ამხ. ა. კ. ჩიქვანაიას თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 30 მარტი.

3. ბრძანებულება ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით და მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. ბაკრაძეს ივანე ირაკლის-ძეს — პროფესორს, ინსტიტუტის უფროსის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში
2. გურგენიძეს ვლადიმერ მიხეილის-ძეს — პროფესორს, ინსტიტუტის კათედრის გამგეს
3. დანდუროვს მესროპ ივანეს-ძეს — პროფესორს, ინსტიტუტის კათედრის გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სოლოვიოვს პეტრე ევგრაფის-ძეს — პროფესორს, ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 30 მარტი.

4. ბრძანებულება ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების და სხვა მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბელაშვილი ლევან გრიგოლის-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
2. ავაზაშვილი დავით ზაქარიას-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
3. ბრეგაძე გრიგოლ ვასილის-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
4. გვარამაძე ნიკოლოზ ლევანის-ძე — პროფესორი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
5. გრიგორიანი არშალუის მიხეილის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
6. დმიტრიევი ვალენტინ ნიკოლოზის-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
7. ეგოროვა ქსენია ალექსანდრეს ასული — ინსტიტუტის უფროსი ბუხჰალტერი
8. ვაშაკიძე გიორგი ბეკოს-ძე — ინსტიტუტის სასწავლო კაბინეტის უფროსი ლაბორანტი
9. ზავრიევი კირიაკ სამსონის-ძე — პროფესორი, ინსტიტუტის უფროსის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში
10. იაკუბოვიჩი მიხეილ ანდრიას-ძე — ინსტიტუტის კათედრის პროფესორი
11. კავთიაშვილი შალვა ივანეს-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი
12. კორძაია თამარ ბეგლარის ასული — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
13. კრილოვი ალექსანდრე ივანეს-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის კათედრის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ლეჟავა ბორის ნესტორის-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანი
15. მაისურაძე ვასილ ალექსანდრეს-ძე — პროფესორი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
16. მამასახლისოვი გიორგი ივანეს-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
17. მატატაშვილი შალვა ნიკოლოზის-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
18. პოლეტაევი ვლადიმერ სიმონის-ძე — დოცენტი, ინსტიტუტის კათედრის გამგე
19. პოპოვი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
20. პროკოფიევი ლევ ნიკოლოზის-ძე — ინსტიტუტის კათედრის გამგე
21. სეირანიანი ვაგარშაკ აბრამის-ძე — ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი
22. სლოვინსკი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
23. შანიძე ნოე კონსტანტინეს-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
24. შილოკაძე ოლღა ალექსის ასული — ინსტიტუტის მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე
25. ციისკრელი გიორგი დარჩოს-ძე — ინსტიტუტის კათედრის პროფესორი
26. ხიტარიშვილი ალექსანდრე არტემის-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
27. ხოჯაშვილი ალექსანდრე დავითის-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი
28. ჯიქია პარმენ ივანეს-ძე — ინსტიტუტის კათედრის დოცენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 30 მარტი.

ნ. ბრძანებულება ბაკურიანის ანდეზიტის მუშათა დასახლების მუშათა დაბების ჯგუფზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1956 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკურიანის ანდეზიტის მუშათა დასახლება მიეკუთვნოს მუშათა დაბების ჯგუფს ბაკურიანის სადაბო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში დატოვებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 30 მარტი.

6. ბრძანებულება ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოს სოფლების ძამას და სათიბების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1955 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და გაუქმდეს ხაშურის რაიონის ღუდის სასოფლო საბჭოს სოფლები ძამა და სათიბები, მათი კოლმეურნეობების სოფელ ცხრამუხის მარქსის სახელობის კოლმეურნეობასთან შეერთებისა და ამ სოფლების მოსახლეობის ამავე რაიონის ცხრამუხის სასოფლო საბჭოს სოფელ ცხრამუხაში ჩასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 30 მარტი.

7. ბრძანებულება ამხ. შ. ი. საბანაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. შალვა ილიას-ძე საბანაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 9 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონდრატ სოკრატის-ძე ციმაკურიძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე —**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 9 მაისი.

9. დმანისის და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფროსის ამხ. ვ. ა. ქუჩუკაშვილის მოხსენება დმანისის და თეთრიწყაროს რაიონების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შემოწმებულ სასოფლო საბჭოებს თავიანთ მუშაობაში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი: არღვევენ სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სესიებზე ყველა დეპუტატის დასწრებას და მათ მონაწილეობას სესიებზე განსახილველ საკითხების მომზადებაში, სუსტადაა გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსავლინებლად, არ სწარმოებს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, რეგულარულად არ იწვევენ საბჭოების აღმასკომების სხდომებს და ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ გადაწყვეტილებების დროულად განხილვის საქმეს. მაგალითად— თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1955 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ განიხილა მხოლოდ 48 დღის შემდეგ დღიდან მიღებისა, ასევე, მიღებიდან 36 დღის შემდეგ განიხილა რაისაბჭოს აღმასკომის 1955 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება „ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების შესახებ“.

თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის, ირაგის და დმანისის რაიონის საკირეს სასოფლო საბჭოების აღმასკომებს არ ჩაუბარებიათ ანგარიშები საბჭოებისათვის თავიანთი მუშაობის შესახებ. სასოფლო საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებას, სუსტად ეხმარებიან მუდმივ კომისიებს მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, რის შედეგადაც თეთრიწყაროს რაიონის ირაგის და დმანისის რაიონის საკირეს სასოფლო საბჭოების მუდმივ კომისიებს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვთ მხოლოდ თითო სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი ორგანიზებრივი მუშაობის შედეგად დმანისის და თეთრიწყაროს რაიონების ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ 1955 წელს ვერ უზრუნველყო მეცხოველეობის განვითარების და პროდუქტიულობის გადიდების სახელმწიფო გეგმების შესრულება. ასე, მაგალითად—თეთრიწყაროს რაიონის ირაგის სასოფლო საბჭოში მეცხოველეობის განვითარების 1955 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებული იყო: მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდისა—95 პროცენტით, აქედან ძროხების სულადობისა—85 პროცენტით; მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებული იყო გადაჭარბებით, ძროხების სულადობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 76 პროცენტით, წველადობის 1955 წლის გეგმა ერთ საფურაჟე ძროხაზე თეთრიწყაროს რაიონის ირაგის სასოფლო საბჭოში შესრულებული იყო მხოლოდ 85 პროცენტით, ხოლო ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოში – 88 პროცენტით.

შეჭოწმებულ რაიონების სასოფლო საბჭოებში სუსტად არის დაყენებული მოსახლეობის კულტურულ-მასობრივი მომსახურება. საკმაო რაოდენობით არ ატარებენ ლექცია-საუბრებს, არ აჩვენებენ კინოსურათებს და სხვ. ზოგიერთი სასოფლო საბჭო არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში და ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების საქმეს.

სასოფლო საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ დმანისისა და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას არ უწევენ სასოფლო საბჭოებს მუშაობაში, დროულად არ აცნობენ მათ ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებებს, სათანადო კონტროლს არ უწევენ მათი შესრულების მიმდინარეობას, სისტემატურად არ ატარებენ საბჭოების ორგანიზებრივი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

სასოფლო საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს დმანისის და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა სასოფლო საბჭოებისადმი, პერიოდულად შეამოწმონ და მოისმინონ ანგარიშები მათი მუშაობის შესახებ, ჩაატარონ საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები;

ბ) წარმართონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა და სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად; მიაღწიონ იმას, რომ დროულად და ხარისხიანად შესრულდეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, გაატარონ საჭირო აგროლონისძიებები მოსავლიანობის გადიდებისათვის, უზრუნველყონ მეცხოველეობის სულადობის და პროდუქტიულობის ზრდა და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაზზადებათა და ფულად გადასახადთა სახელმწიფო გეგმების აუცილებელი შესრულება;

გ) უზრუნველყონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების სესიების მოწვევა კონსტიტუციით დადგენილ ვადებში და მიიღონ ზომები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საბჭოების სესიებზე და აღმასკომების სხდომებზე განსახილველად დროულად მზადდებოდეს სახალხო მეურნეობის აქტუალური საკითხები, უზრუნველყონ მიღებული გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და შედეგების მოსმენა სესიებზე ან აღმასკომების სხდომებზე;

დ) დაეხმარონ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს საბჭოების დეპუტატების ამომრჩეველებისათვის ანგარიშების ჩაბარებისა და ამომრჩეველთა წინადადებების შესრულების საქმეში;

ე) გაუმჯობესონ სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობა და აქტიურად ჩაბაან ისინი პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განხორციელების საქმეში;

ვ) ფართოდ გამალონ სასოფლო საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებისათვის და პერიოდულად შეამოწმონ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობა.

2. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სასოფლო საბჭოების მუშაობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 11 მაისი.

10. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებას საქართველოს სსრ ბევრ რაიონში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ ასრულებენ და თავს არიდებენ ამ ბრძანებულებით მათზე დაკისრებულ მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ამის შედეგად ადგილი აქვს ნათესთა და ნარგავთა წანახედის მრავალ ფაქტს, ხოლო დამნაშავე პირთა მიმართ არ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

დადგენილია აგრეთვე, რომ მთელ რიგ რაიონებში სასოფლო საბჭოების აღმასკომები, კოლმეურნეობების გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები აღნიშნულ ბრძანებულებას უხეშად არღვევენ — აჭარბებენ თავიანთ უფლებებს, თვითნებურად აჯარიმებენ დამნაშავე პირებს და იხილავენ არასრულყოფილ მასალებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ასე, მაგალითად: ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ახალდაბის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა უყურადღებოდ დატოვა ამავე სოფლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნეობის გამგეობის მიერ წარდგენილი აქტები კოლმეურნეების კუთვნილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების ხულოს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა განიხილა სოფ. დეკანაშვილების მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის მიერ ცალხრივად შედგენილი აქტები 14 მოქალაქის მიმართ და დააკისრა მათ ზარალის ანაზღაურება ისე, რომ ზარალის განსაზღვრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საბჭოს წარმომადგენელს და აგრონომს.

ასევე დადგენილია, რომ მცხეთის, მარნეულის, ლაგოდეხის, ახალქალაქის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობების გამგეობები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ითვისებენ რა საბჭოებისათვის ამ ბრძანებულებით მინიჭებულ უფლებებს, თვითნებურად ახდევინებენ მოქალაქეებს მიყენებული ზიანის ღირებულებებს და ჯარიმებს.

მაგალითად: მცხეთის რაიონის დაბა მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის 1955 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით ნათესის წანახედისათვის კოლმეურნე გ. კახუაშვილს დაეკისრა 1.500 მანეთის გადახდა. მარნეულის რაიონის სოფ. შაუმიანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის განკარგულებით 8 კოლმეურნე, რომელთა საქონელიც აღმოჩნდა კოლმეურნეობის ნათესში, დაჯარიმდა 475 მანეთით. ახალქალაქის რაიონის სოფელ სულდას ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 1955 წლის 1 ივლისის დადგენილებით დააწესა, რომ კოლმეურნეობის ნათესში ან ნარგავში განმეორებით დაკავებული პირუტყვი პატრონს არ დაუბრუნდეს და ჩაირიცხოს კოლმეურნეობის საკუთრებაში.

სალიბაურის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ამბ. ფაღავას ბრძანებით დაჯარიმებული იქნა ამავე მეურნეობის 28 მუშა-მოსამსახურე 2.640 მანეთით, მათი პირუტყვის მიერ საბჭოთა მეურნეობის ნარგავების წანახედისათვის.

მსგავს შემთხვევებს ადგილი აქვს ამაშის, გურჯაანის, გორის, დმანისის, დუშეთის და სხვა რაიონებში.

აღნიშნული დარღვევები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა) საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების განუხრელად შესრულებისათვის, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევენ ქვემდებარე ორგანოებს აღნიშნულ ბრძანებულების სწორად გატარების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ რაიონულ და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარებისა) საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეამოწმონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაობა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების საქმეში და მიიღონ გადამჭრელი ზომები მისი განუხრელად გატარებისათვის, აგრეთვე გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნათესთა და ნარგავთა წანახედის დროულად გამოვლინებას და დამნაშავე პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომების მიღებას:

ბ) კატეგორიულად აუკრძალონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს დადგენილებების მიღება წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმების გადახდევინების შესახებ, ფართოდ განუმარტონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობების გამგეობებს, რომ ნათესთა წანახედით და ნარგავთა დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდევინება წარმოებს მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით;

გ) გაამრავლონ და დაუგზავნონ სახელმძღვანელოდ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შეამოწმონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მიმდინარეობა ქვემდებარე ორგანიზაციებში და მისცენ მათ მითითებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მისცეს სათანადო მითითება ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, რათა მათ შემდეგში უზრუნველყონ ნათესთა და ნარგავთა წანახედისათვის დადებულ ჯარიმების შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში; პერიოდულად შეამოწმოს ამ დავალების შესრულება და მიიღოს ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. ერჩიოთ აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განიხილონ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ ღონისძიებანი მის შესასრულებლად და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. დაევალოს საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორს სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს ნათესთა წანახედით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების და ჯარიმის დადების სწორად გატარების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 11 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ბრძანებულება ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქანის „ჩაქვისთავის“ ბაქანს „მწვანე კონცხად“ გადარქმევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება და ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქანს „ჩაქვისთავს“, ადგილის სახელწოდების შესაბამისად, შემდგომში ეწოდოს ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქანი „მწვანე კონცხი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 11 მაისი.

12. ბრძანებულება გარდაბნის რაიონის ახლად დასახლებული პუნქტისათვის სახელწოდების, სოფელი ახალი სამგორის, მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

ეწოდოს გარდაბნის რაიონის ახლად დასახლებულ პუნქტს სოფელი ახალი სამგორი და მიეკუთვნოს ამავე რაიონის გამარჯვების სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1956 წ. 19 მაისი.